რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 13 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1. Для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 9 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 9

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ბანვორი კრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

ყველა რაიონების პარტიულ

## ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური საჭიროების გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მოეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულათ გადაიხადონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოპ აკოპჯანს (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

## ინტერნაციონალის გზით.

კავკასიაში წარმოუდგენელი ანარქიაა გამეფებული. მენშევიკ-ესერებმა და ნაციონალისტურმა პარტიებმა ყველაფერი იღონეს ამ ანარქიის გასაძლიერებლათ. პირველი ნაბიჯი ამ მხრით იყო რევოლიუციონური რუსეთიდან ჩამოშორება და ამიერ-კავკასიის კომისარიატის დაარსება, რასაც გულუბრყვილოთ მოსალოდნელათ თვისი გამოკვეთა დაარქვეს. ნამდვილათ კი ეს იყო რუსეთის რევოლიუციის წინაამდეგ გადადგმული ნაბიჯი. მათ არ სცნეს რუსეთის საბჭოების მთავრობა, ბრძოლა გამოუცხადეს მას და რამდენათაც შეეძლოთ, კალედინთან შეთანხმებით კიდეც აწარმოვეს ეს ბრძოლა, მათ შეითვისეს რუსეთში დამარცხებული კოალიციური პრინციპი და ბურჟუაზიასთან ერთათ შეადგინეს ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელიც ასეთ პირობებში აუცილებლათ კონტრრევოლიუციონური უნდა ყოფილიყო.

კონტრრევოლიუცია თვით წყაროა ყოველგვარი ანარქიისა და ასეთი შეიქნა ის კავკასიაშიაც; ხოლო ნაციონალიზმი, კიდევ უფრო ღრმა ხასიათი მისცა აქაურ კონტრრევოლიუციას.

გაბატონებული კლასები დაირაზმნენ. შექმნეს ნაციონალური ორგანოები, მოიწვიეს ნაციონალური პარლამენტები და დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს. ისინი განაგრძობენ ბრძოლას მთელი ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და ცდილობენ ... ლიკვიდაცია უყონ ხალხის რევოლიუციონური ორგანოებს. მათ თვალი აუხვიეს მშრომელ ხალხს და ისიც ჩაითრიეს თავის დამღუპველ შოვინისტურ პოლიტიკაში.

მათ მოხსნეს ფრონტიდან თავისი ეროვნების ჯარისკაცები და როცა ამათთან ერთათ ფრონტიდან დაიძრა ომისაგან წელში გაწყვეტილი რუსის ჯარი, ყველა ჯურის ნაციონალისტებმა და მათ შორის მენშევიკ-ესერებმა მოხსნაითური თავლახმა მოახდინეს ან ჯარზე და მოუწოდეს მას ხოცვა-ჟლეტისაკენ. კალედინის წინაალმდეგ დარაზმულათ მიმავალ ჯარის წინაალმდეგ შეერთდენ ქართველის, სომხის და თათრის ნაციონალისტები და სხვა და სხვა მხრიდან გზას უჭრიან მას, თავს ესხმიან და როცა ის იარაღს არა ყრის, ცეცხლით და მახვილით იმარჯვებენ. ჯერ ამ შოვინისტებს ერთმანეთში ჩხუბი არ მოსდით და რუსის ჯარის წინაალმდეგ შეთანხმებულათ მოქმედებენ, რადგან ჯერ არ მომდგარა რიგი ნაყაჩაღარი ღავლის გაყოფაზე. მაგრამ აშკარაა, როგორც კი რუსის ჯარიდან კავკასია გაიცლება, აქაური ნაციონალისტები ერთმანეთს დაერევიან.

ჩრდილოეთ-კავკასიის კონტრ-რევოლიუცია შედეგათ მოყვა უსაშინლესი ანარქია,—ცარცვა გლეჯა, იავარქმნა, განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა. ამან ქალა ვერ ასცდა ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებს და ისინი ბეჯითად ამზადებენ იმავე ამბებს აქაც.

სად არის ხსნა? ნაციონალიზმის სრულ უარყოფაში და ინტერნაციონალიზმის გამარჯვებაში, მშრომელი ხალხი ყველა ეროვნებისა უნდა დაირაზმოს მუშების და გლეხების საბჭოებში და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ნაციონალურ საბჭოებს, რომლებიც კონტრ-რევოლიუციის ციხე-სიმაგრეთ გადაიქცნენ. მუშების და გლეხების საბჭოებმა უნდა აიღონ მთელი ძალა-უფლება ხელთ და მტკიცეთ შეუკავშირდნენ მთელი რუსეთის მუშების და გლეხების საბჭოებს და გადაქმნან ადგილობრივი ცხოვრება რუსეთის რევოლიუციის ნაყოფიერი შედეგების სახით. არა ნაციონალურ ბურჟუაზიასთან ერთათ, არამედ ყველა ნაციის მშრომელ ხალხთან ერთათ, ყველა ნაციის გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ,—ასეთია ერთად ერთი სწორი და საიმედო გზა, რომელიც ლაგამს ამოსდებს ყველა ჯურის ნაციონალისტებს და გაშოვინისტებულ სოციალისტებს, რომლებიც დღეს ნაციონალურ საბჭოებში განცხრომით განისვენებენ.

ოქტომბრის რევოლიუციის უარყოფამ და მას შემდეგ ნაციონალისტების და სოციალ-შოვინისტების თარეშმა შეუმზადა ნიადაგი იმ შემაძრწუნებელ ამბებს, რომლებსაც ადგილი აქვთ კავკასიაში დღეს და რომლის უარესია კიდევ მოსალოდნელი, თუ მშრომელ ხალხს არ აღმოაჩნდა ნიჭი თავისი რუსეთის მოძმის მსგავსათ ხელში აიღოს მთელი ძალა-უფლება და მედგარი თავდასხმით წელში გასწყვიტოს ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია.

კავკასიის მშრომელმა ხალხმა რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ უნდა აღადგინოს მთლიანი და მტკიცე რევოლიუციონური ფრონტი, რომელიც მოღალატურათ გაარღვიეს მენშევიკებმა. ამისთვის კი აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციონური დახმარება აღმოუჩინოს ჩრდილო-კავკასიას, რომელიც გმინავს კალედინების თარეშის გამო. ეს კონტრ-რევოლიუციონური ბანდა უნდა საჟელებით გაწმენდილ იქნეს მის ღლევანდელ ბატონთაგან და საესებით აღდგენილ იქნას იქ მუშების და გლეხების საბჭოების ძალა-უფლება. შეიარაღებული მტრები შეიარაღებული ძალებით უნდა იქნას გასრესილი და არა მოლაპარაკებით და დელეგაციებით.

მხოლოთ ამ კონტრ-რევოლიუციონერთა ბუდის გაწმენდით შეიძლება რუსეთის მშრომელ ხალხთან კავშირის აღდგენა და კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცება. კალედინის გასრესა ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის გასრესაც არის, მხოლოთ ამ გზით შეიძლება კავკასიის თავაშვებული ნაციონალიზმის დამხობა და ინტერნაციონალიზმის აღდგენა.

---

## რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია. *)

ოქტომბრის რევოლიუციას ყავს, როგორც ვთქვით, მეორე უდიდესი და უფრო საშიში მტერი—შინაური ბურჟუაზია. იგია ხელმძღვანელი, მეთაური, სული და გული რუსეთის კონტრ-რევოლიუციის. იგი აერთებს თავის დროშის გარშემო ყველა მყვლეფელ, ბატონობას, მუქთახორობას, განცხრომას, ფუფუნებას და გარყვნილებას შეჩვეულ კლასებს, ჯგუფებს და ელემენტებს. კონტრრევოლიუციონურ ბურჟუაზიის მეთაური და ხელმძღვანელია მისი პოლიტიკური პარტია-კადეტები.

ბურჟუაზიის მარჯვენა ხელი ფეოდალთა, მემამულეთა კლასია, რომელიც ცარიზმის, თვითმპყრობელობის ბურჯს შეადგენდა. ეს უალრესათ კონტრრევოლიუციონური კლასი აღარ ოცნებობს ძველი წინანდელი თვითმპყრობელობის, განუსაზღვრელი მონარქიის აღდგენაზე. ის ურიგდება ბურჟუაზიულ მონარქიულ, თუ გინდ—ბურჟუაზიულ—რესპუბლიკანურ რეჟიმსაც კი, რომელიც ხელუხლებლათ ტოვებს უმთავრეს და ერთათ ერთ სოციალურ ბაზას, საფუძველს მის საკუთარ არსებობისას—კერძო საკუთრებას. მიწა და მიწის გულში შენახული სიმდიდრე შეადგენდა თვითმპყრობელობის დროს ერთათ ერთ წყაროს და საფუძველს მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობისა.

ოქტომბრის რევოლიუცია სასიკვდილო ლახვარს სცემს გულში ყოველგვარ

*) იხ. „ბრძოლას" № 8.

საკუთრებას, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, ჯგუფს, კლასს სხვების ყვლეფით, ექსპლოატაციით, დამონებით იცხოვროს.

პროლეტარული რევოლიუცია რადიკალურათ სწყვეტს კერძო საკუთრების კითხვას, ის მას სპობს და მის ადგილზე ამყარებს განსაზოგადოებრივებულ საკუთრებას, სოციალიზმს.

ოქტომბრის რევოლიუციამ ერთი დაკვრით მოსპო კერძო საკუთრება მიწაზე და გახადა ის მშრომელი ხალხის საერთო საკუთრებათ, საერთო სიქეთეთ.

მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებით, მისი კონფისკაციით, მის უფასოთ გადაცემით მიწის მომუშავეთა ხელში, ნადგურდება და ისპობა ის კლასიც, რომლის არსებობის ერთათ ერთ წყაროს ეს საკუთრება წარმოადგენდა.

თებერვლის—მარტის რევოლიუციას, რევოლიუციას წმინდა ბურჟუაზიულს, მიზნათ ქონდა მიწის საკითხის ისე გადაჭრა, რომ მისი კერძო საკუთრების ხასიათი და შინაარსი არსებითათ უცვლელი დარჩენილიყო და მისი გუშინდელი მფლობელი მემამულე, პამეშჩიკი—დღეს ფეოდალ-კაპიტალისტათ გადაქცეულიყო.

გლეხს რომელმაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ოფლით, სისხლით და ცრემლებით რწყო და ბანა მიწა, გადაეცემოდა მისი მცირე ნაწილი და იგიც ფასით, შესყიდვით. იგი ძველებურათ კვლავ გაყვლეფილი, დამორჩილებული და დამონებული დარჩებოდა.

ამნაირათ, ფეოდალთა კლასი, მემამულენი, გადახალისებულნი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურათ, ევროპიულათ გადაქცეულნი იუნკრებათ, მსგავსათ გერმანიის აგრარიებთა განაგრძობდა კაპიტალისტურ ბურჟუაზიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული და ხმა-შეტკბილებულ პოლიტიკურ ეკონომიურ ბატონობას გაყვლეფილ და მშრომელ კლასებზე.

რა უნდა, საითკენ მიილტვის რუსეთის ბურჟუაზია? მისი იდეალია. სახელმწიფო ისეთი რეჟიმი, წყობილება. როცა და სადაც იგი იქნება ქვეყნის ერთათ ერთი ბატონ-პატრონი, მეთაური და გეგემონი, კაპიტალისტური საკუთრების გამაგრება და გამტკიცება და სახელმწიფო სათავეში წამოსკუპება,—აი რა აწერია ამ კლასის პოლიტიკურ-სოციალისტურ დროშაზე.

ისე, როგორც ფეოდალური საკუთრება (მიწაზე), კაპიტალისტური საკუთრება და მათზე დამყარებული ათასების და ათი ათასების პროლეტარების ე. წ. ზედმეტ ღირებულების მუქთათ მითვისება შეადგენს ერთათ ერთ წყაროს და სახსარს ბურჟუაზიის არსებობისა.

რუსეთის ნორჩ (შედარებით ევროპა-ამერიკასთან) ბურჟუაზია, თვითმპყრობელობის დროს პოლიტიკურ უფლებას სრულიათ მოკლებული, თებერვალ-მარტის რევოლიუციის შემდეგ ფიქრობდა შეექმნა და გაემტკიცებია სახელმწიფო თავის კლასიურ იდეალების თანახმათ. ის ოცნებობდა წამოსკუპებულიყო ოქროს ტახტზე და ემეფნა განცხრომით, წყალობითა ღვთისათა განუსაზღვრელათ, შეუზღუდველათ და მუდამ, უკუნითი უკუნისამდე.

ძველი კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიამ მთელი საუკუნეები იბატონა. ცხადია, მას არ უნდა, იგი ნებით ვერ დასთმობს თავის ბატონობას, იგი გააფთრებულათ ებრძვის პროლეტარიატს, რომელიც უქადის მას აღგვას პირისაგან ქვეყნისა.

რაღა უნდა ვთქვათ ჩვენ ნორჩ ბურჟუაზიაზე, რომელიც დაიბადა და გაიფურჩქნა რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში თვითმპყრობელობის კალთაში და რომელიც ამდენი ხანი ოცნებობდა პოლიტიკურ-ეკონომიურ ბატონობაზე.

მარა ისტორიამ ულმობელათ ჩაფუშა მისი ოცნება. მან იმეფა მხოლოთ რვა თვე, მარტიდან ოქტომბრამდე, და ისიც ისეთ საშინელ, კატასტროფიულ პირობებში, როცა მას არ შეეძლო ოდნავ მაინც დამტკბარიყო ამ მეფობის ნაყოფით. იგი ამ დროს მუდამ შიშში, მუდამ კანკალში, მუდამ საფრთხეში გრძნობდა თავს, როგორც გარეშე, ისე (უფრო) შინაური მტრისაგან რუსეთის რევოლიუციის სახით, რომელიც თანდათან ღრმავდება, ფართოვდებოდა, მწვავდებოდა და ძლიერდებოდა.

ოქტომბრის რევოლიუციამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა რუსეთის ნორჩ, ბატონობის მოწყურებულ კონტრრევოლიუციონურ ბურჟუაზიას. ამ მარჯვეთ და ღონივრათ მოქნეულმა პროლეტარულ-გლეხურმა მუშტმა თავზარი დასცა მას და დავთარი დაუბნია. პოლიტიკური და სოციალ ეკონომიურ ბატონობის მწვერვალიდგან ოქტომბრის გადატრიალებამ იგი ძირს ჩამოაგდო, მიწაზე გაშხლართა, გულზე ფეხი დააბჯინა და სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას შეუდგა.

თავზარდაცემული ბურჟუაზია პირველათ შეტორტმანდა, შეირყა, დაიბნა, გზა-კვალი აერია, მარა მალე მოვიდა გონს, აბჯარი შეისხა, მოკავშირეები მონახა და საერთო კონტრრევოლიუციონური მობილიზაცია გამოაცხადა, პროლეტარულ-გლეხურ დიქტატურის წინააღმდეგ საომრათ, სამკვდრო-სასიცოცხლო შესაჯახებლათ.

**თედორე.**

(დასასრული იქნება).

# კვალ და კვალ

ჩვენი გაზ. „კავკ. რაბოჩი“ აღნიშნავს ძველ, ანბანურ ჭეშმარიტებას: „ამიერ კავკასიის კომისარიატი და ეროვნებათა შეერთებული საბჭო განაგრძობენ პროვოკაციულ, კონტრრევოლიუციონურ მოქმედებასო“. ასეთ მოქმედებას გაზეთი, სხვათა შორის, ხედავს ამ ობორონცულ-ნაციონალისტურ ცენტრების უკანასკნელ განკარგულებაში. ფრონტიდან მოპავალ რუსის ჯარის ეშელონებისათვის იარაღის აყრაში.

წყალ წაღებული ჰაერში გამოკიდულ კომისარიატის ეს ნაბიჯი დასტურაც პროვოკაციულია და კონტრრევოლიუციონური. რატომ? პროვოკაციულია იმიტომ, რომ რევოლიუციონური ჯარი, რომელიც შეიარაღებული მიდის სახლში, ისახავს ორ მიზანს: ბრძოლა ჩრდილო კავკასიაში დაბუდებულ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ და ბრძოლა შინ, სოფლათ და ქალაქათ ბურჟუა-პომეშჩიკების წინააღმდეგ. ამიტომ ეს ეშელონები კომისარიატის „პრიკაზის“ თანახმათ ნებით იარაღს არ ყრიან, ხდება შეჯახება, იღვრება სისხლი და ჩაღდება ე. წ. მოქალაქობრივი ომი, რომელზედაც წარა-მარა და უადგილოთ წუწუნებენ თვითონ მენშევიკები.

მაიატნიკი „ერთობა“ გაუწიწმატებია „კავ. რაბოჩის“ ხსენებულ სტრიქონებს და სრულიათ ამაოთ ცდილობს დაგვიჭიროს წინააღმდეგობაში. იგი სწერს: „განა თვით ბალშევიკმა კრილენკომ არ გამოაცხადა შინ მიმავალი ჯარისთვის იარაღის აყრის საჭიროება? და მართლაც რა საჭიროა იარაღით დაბრუნდეს სახლში ის ჯარი, რომელმაც ლაჩრულათ მიატოვა ფრონტი და სახლში გარბისო“ და სხვ.

ეს ანალოგია, შედარება ყალბია, სოფისტიური და კომიკურიც. მართლაც, სად სახალხო კომისარების საბჭო და სად ამიერ-კავკ. კომისარიატი! სად კრილენკო და სად გეგეჭკორი! კრილენკოს განკარგულებას მიზნათ აქვს: ბრძოლა ფრონტის გატიტვლების და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ერთ და იმავე დროს. მენშევიკურ კომისარიატის და გეგეჭკორის განკარგულებას კი დიამეტრალურათ წინააღმდეგი მიზანი აქვს: ბრძოლა ცენტრ. რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ და კალედინ-კორნილოვების ზურგის გამაგრება.

ამას გარდა, ჩვენ ვეკითხებით „ერთობას“: 1. როდის გახდა ლაჩარი კავკ. ჯარი: მთელი 40 თვის განმავლობაში, როცა ის იბრძოდა კავკ. ფრონტზე აუტანელ პირობებში, თუ ეხლა, როცა ამ ჯარმა უნდობლობა და ომი გამოუცხადა ობორონცულ კომისარიატს და კონტრ რევოლიუციას? 2. როდის აქეთ გადაწყვიტეს „ერთობამ“ და კომისარიატმა თავისი არსებითათ კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯები და განკარგულებები შეუთანხმონ, შეუხმატკბილონ ბალშევიკ კრილენკოს ნაბიჯებს? საკმარისია ამ კითხვების დასმა, რომ ყველასათვის გამოაშკარავდეს ხამელეონ „ერთობის“ სიყალბე და პოლიტიკური უსუსურობა.

## მეც მინდოდა—მივსწრებოდი!..

(ესკიზი).

სული ჩემი იბრძოდა — იტანჯებოდა; გული ჩემი ძგერდა—ტოკავდა!.. მთელი არსება—გრძნობა-გონება ერთ აზრს, ერთ ღვთაებას დაეპყრა. მე მისი მორჩილი, ყურმოჭრილი მონა ვიყავ!.. ოლონდაკ მეხილა, ნეტამც მოვსწრებოდი!·! მისი სურნელოვანი წმინდა ჰაერით მესუნთქა! მის მშვენიერებას შევხებოდი,.. მაგრამ ის გარბოდა, მიქროდა შორს და ცოდვილიან კაცას თვალს ემალებოდა... არ სურდა დაშვებოდა ძირს, ამ ცოდვითა და ბოროტებით აღსავსე დედამიწაზე!.. მიქროდა, მიფრიალობდა!.. ამაო იყო ვედრება, ცრემლი, გოდება და ტანჯვა განაწამები-ტანჯული ადამიანისა... ამაო იყო ყოველი!..

ჰაა, შივ რდენის ფრთები გამოესხა პირშავ ორთავიან არწივს!.. ის ორივე სისხლით გატენილ გაუმაძღარ პირიდან ცეცხლსა და ნაღვერდლებს ყრიდა!., ადამიანის ზღვა-სისხლში ამოყბანა მას გრძელი შეუბრალებელი კლანჭები, ჩაფრენოდა ამ მრავალ-ტანჯულ დედამიწის ზურგს და ხარბათ ილუკმებოდა ადამიანის ლეშით! სჭამდა და ვერც ძღებოდა!.. დიდი, დიდიხანი ილუკმებოდა ასე ხარბათ შავი ორთავიანი არწივი...

ერთ მშვენიერ დღეს ციწის ძვრა მოხდა: დედამიწა გადატრიალდა... შავი არწივიც, რომელსაც ხარბათ მოედო კლანჭები დედამიწისთვის—ქვეით მოყვა!.. პირშავი არწივი ჯოჯოხეთში მოექცა!.. იწვება და იტანჯება ცეცხლის ალში არწივი!.. ადამიანმა კი გაიხარა!. დაისვენა!., მნათობი მზეც სულ სხვანაირი მხიარულებითა და ზეიმით ამოკაშკაშდა... მისმა მხურვალე ნათელმა სხივებმა არწივს ზევიდან დააცხუნა და ფრთები შეუტრუსა!.. არწივი აქოლდა სისხლით შეღებილი წითელი მხურვალე ენა გადმოაგდო და მარჯვენა ფრთის ბოლოთი ანიშნა მრავალტანჯულ, წინეთ მისგანვე ბრძოლაში განწამებულ გმირულათ დაცემულ სამოთხეში ლაზარეს, რათა ამ უკანასკნელს დაესოლებია და მისთვის ენა ლებია!.. ლაზ რემ პასუხათ ერთი ზათიანი წიხლი ჩააყოლა მტარვალ წივს...

კვდება არწივი!.. კვდება მტა ლი!.. მაგრამ ჩემი სული კვლავ კვლავ იდაგებ !.. ახალი პატარა ვიანი არწივებიც დაიბადენ! ისინი სწრაფით იშლებიან.., ჩვენს თავის დიად მზეს უნდათ მანათობელი ბი მოჰპარონ!.. ტანჯულ ადამიანი ნაც კი ულ:ლატ, ვინც გუშინ მის ბას და ერთგულებას ეფიცებოდა! კი ბედით კრული თვისი საკუთარი რაღით შეუდგა სანატრელ ბედ-იღბლის გამოჭედვას...

შავი არწივები დათარეშობენ ყორნებისა და ყვავების რაზმს ადამიანზე კვლავ თავდასხმას ლამობს მომაკვდავი ორთავიანი არწივის უნდათ მის ერთგულ შვილებს და სამოთხეს ჯოჯოხეთათ ქცევას უპირებენ!.

არწივებო, ყვავებო, ქორებო, ყვავნო ამაოთ ჩაგივლით თქვენი ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა მოვსწრებოდით ამ დღეს! დიდი ხანია მისთვის ვემზადებოდით! იარაღს ვისხამდით ნუ გგონიათ, რომ ჩვენს სამოთხეს თქვენს სამოთხეთ გაიხდით!.. მოლოტენო! არ დაგანებებთ სისხლიან ცრემლებით შეღებილ ხალხის თავისუფლების დროშას!.. შორს, შორს განვედით ჩვენგან ცბიერნო!,,

გიცნობთ ვინცა ხართ!.. ჩვენ ბრძოლაში უკვე გამომწვარი ვართ!.. თქვენთან ბრძოლა კარგათ ვიცით შორს ალქაჯნო! ჩვენ ვიბრძოდით იმიტომ, რომ თქვენს დასამარებას მოვესწრებოდით!.. და.., მოვესწარით კიდეც მზეც ჩვენთვის ანათებს!.. ცხოვრების ძლიერი, შეუბრალებელი კანონები ჩვენ ხელთაა!.. განვედით ჩვენგან თქვენი ადგილი — შავი ჯოჯოხეთი გეყოთ რაც სისხლში ხელ-პირი იბანეთ!.. არ შეგრჩებათ!.. შორს...

**გედი არხენაშვილი.**

## დაკარგეს ნამუსი აიხადეს ნიღაბი.

23 დეკემბერს როცა თითქმის არმიის სიეზდი დამთავრდა სულ ყველა საქმეები მორჩენ და უნდა დაშლილიყვნენ დაშნაკცაკანი არზუმანოვი აცხადებს, რომ ოსმალეთს ზავის პირობებზე უარი განუცხადებიათო, არ გასულა ორი წუთი და მენ?!, მალხაზოვი აცხადებს რომ ტელეგრამმა მოსულა კომისარიატშიო, რომ გერმანიას ზავის პირობებზე უარი განუცხადებია და ომი გამოუცხადებიათ, ამის თქმა და მთელი მარჯვენა სექტორიდან ტაშის გრიალი და ოვაციები ერთი შეიქნა. ხალხის მტრებმა უკანასკნელათ დაამტკიცეს თავიანთი სოციალისტობა შეიძლება არ უნდოდათ მაგრამ სიხარულმა დასძლია და დაჰკრეს გაცხარებული ტაში, რითაც უკანასკნელათ დაადასლურეს თავიანთი უსინდისობა. თქვენ გაკოტრებულნო სოციალისტებო განა რომ მართალი გამოდგეს თქვენი ამხანაგის მალხაზოვის პროვოკატორული განცხადება განა მართლა ასე გაგიხარდებათ? გინდათ რომ გერმანიის და მთელი ევროპის იუნკრებმა რუსეთის დიდებული რევოლიუცია სისხლში ჩაახრჩონ? გრცხვე

...ნოდეთ თქვენ ბურჟუაზიის ფეხების ...ლოკველნო ლაქიებო! გრცხვენოდეთ, ...ნამუსიც კარგი საქონელა.

ვ. ჯოლილი.

# მუშათა ცხოვრება.

...თბილისის ხელზე მოსამსახურეები.

...აღნიშნულ მუშებს ძველ რეჟიმის დრო... კი ქონდათ საკუთარი პრ. კავშირი, ...ასე თუ ისე თავის ბედის გადამწყვეტელი ...ითვე იყვნენ. რევოლიუციის შემდეგ ...შირმა ფართეთ იწყო მოქმედება და ...ის გარშემო 1600 დაქსასულ მუშებს ...ოუყარა თავი, მასთან კავშირმა მრავალ ...მუშევრებს უშოვნა ბინა, და გამგეობაც ...ე თუ ისე გვარიანათ მუშაობდა, ასე ...ო რევოლიუციის პირველ-ნახევრამდის, ...ისთვისაც ჩემი მხრით მაშინდელ გამ...ობას ვწირავ მადლობას. ამ ბოლო ...როს კი კავშირის საქმე ვერ მიდის ...ნ, გამგეობის და მისი დიქტატორის გოგობერიძის უმოქმედობისა გამო.

...საქმე იქამდია მისული, რომ მრავალი ...ვრი უნდობლობას უცხადებს მას (კავ...რს). ხშირად გაიგონებთ ამხ. წევრე...საგან, რომ— „ბიურო" სავაჭრო სახ...ათ აქციესო ბ ურის მეთაურის. სხირ...ლაძესთან და ნ. სიხარულიძესთან დრო...ას ატარებს და ჩვენ ინტერესებს აბა ...გორ დაიცავსო—მე არ ვიცი, თუ ...მდენათ მართალია ეს ხმები, მხოლოთ ...ტყვი რომ ასეთმა ხმებმა კავშირს ...ტორიტეტი დაუკარგა საზოგადოებაში; ...ათი დღის წინათ გამოიცვალა გამ...ობა, ძველი თითქმის ყველა გადადგა ...რდა ორისა), გვეგონა ახლა მაინც ...უყვებიან გამგეობაში ენერგიული მო...შავენიო, მაგრამ კ. გ—ძის წყალობით ...ასე არ მოხდა. არჩევნების დროს გა...დო ზოგი ისეთი არა საიმედო პირები ...ომლებსაც საერთო საქმე არ აინ...ტერესებთ.

...არჩევნებიც კ. გ—ძის მეთოდით მოხ...ა, ე. ი. ის კანდიდატი, რომელიც ...—ძეს მოწონდა, ერთხმათ უნდა აერ...ა კრებას გ——ძესვე თხოვნით. და ამ ...რათ კრებამ გამგეობაში ორი ისეთი ...ვრი აირჩია, რომლებიც არც კი ესწ...რებიან იმ კრებას. მე ვეკითხები ამხ. ...—ძეს რა არის ეს, თუ არა ნათლიმა...ობა? რა საჭირო იყო გამგეობაში თერ...ის არჩევა? ნუ თუ 1600 კაცში ისეთე... არ ერივნენ, რომ გამგეობაში ემუ...ავნათ? ან რითი ხართ დარწმუნებული, ...ომ ის გამგეობის წევრი, რომელიც სა...ოგადო კრებას არ ესწრება, გამგეო...აში გააკეთებს რასმე? მაგრამ განა ...ის შეკითხვა?.

...თქვენ იცით, რომ ისინი ვერ იმუშა...ებენ მაგრამ ეგ თქვენთვის სულ ერთია. ...იქით ერთნაირ საბუთადაც გამოგად...ებათ ეს წლის ბოლოში, დასასრულ ...ნდა ახალ გამგეობას მოვაგონო, რომ ...ბილი დაპირებებით ძველმა გამგეო...ამაც მოგვაბეზრა თავი.

...დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ ...ორემ სასაცილო გავხდებით.

არა ბოლშევიკი.

# რუსეთის ქრონიკა

## დონზე.

...რევოლიუციონურ ჯარების შტაბისგან, ...რომელმაც კალედინის კონტრ რევო...ლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ ...ლებს თავი მოუყარა, შემდეგი ცნობა ...ვიღეთ:

დონიდან ამბავი მოვიდა, რომ უსტ-მედევიცკის და ხოპერის ოლქის ყაზახობა კალედინის მოქმედებით კმაყოფილი არაა. რევოლიუციონური ჯარის წინააღმდეგ ახლა მხოლოთ მოხუცება არიან. ყაზახთა ქვეითა ბათალიონები ბრძოლის ველიდან გარბიან.

უკრაინის საბჭოთა რადა ქ. ხარკოვში შედგა და იქვე, მასთან ერთათ მოეწყო უკრაინის ახალი მთავრობა. უკრაინის ახლანდელი პოლიტიკური ვითარება რუსეთის სახალხო კომისარების პოლიტიკურ მდგომარეობისთვის ხელშემწყობია. მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობს უკრაინაზე გავლენის შესანარჩუნებლათ, საბჭოთა რადას ძალა დღითი დღე იზრდება: უკრაინის ქალაქები თანდათან გადმოდიან მუშათა საბჭოების რადის მხარეზე. ნაციონალისტური რადა მალე სულ დაკარგავს თავის გავლენას და უკრაინის მუშათა და გლეხთა იერიშებით ცენტრალური რადა იქ საბოლოვოთ უნდა დაეცეს.

დონეცის მხარეში მუშათა მოძრაობა სტიქიურათ იზრდება. მალე მთელი მხარე მუშათა შეიარაღებული პარტიზანული რაზმებით მოიფინება. პავლოგრადი ზოგი მნიშვნელოვანი პუნქტები, როგორიც არის მაგალ. სლავიანსკი და ნიკიტოვკა, სახალხო კომისარების მთავრობის ჯარებმა უკვე დაიკავეს. მოსკოველი წითელ გვარდიელები იბრძოდენ ბრწყინვალეთ: მათი თავდადება და გმირობა კალმით არ აიწერება, მათი ბრძოლა ეს თვით რევოლიუციაა. ვერც ერთ წითელგვარდიელის სულმოკლეობის და უიმედობის დალს ვერ შეამჩნევთ სახეზე: ყველა ისინი მხნეთ და იმედიანათ გამოიყურებიან და მომავლის გამარჯვებით აღფრთოვანებულნი არიან.

**სახალხო კომისარების საბჭო და სომეხთა საკითხი.**

ცნობა მივიღეთ, რომ სახალხო კომისარების საბჭოს უნდა გამოეცა სომეხთა საკითხის გადასაჭრელათ დეკრეტი, რომლის საფუძვლები შემდეგია.

1) სომხეთიდან ჯარების გამოყვანა თუ ამას სომხის ერი მოითხოვს.

2.) გადმოხვეწილთა დაბრუნება თავ-თავიანთ სამშობლო კუთხეებში.

3.) ოსმალეთისგან მოთხოვა, რომ მესოპოტამიის სომხები თავ-თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დააბინაოს.

4.) სომხეთში დროებითი საბჭოს მოწყობა თვითონ სომხების არჩეულ წარმომადგენლებისაგან.

5.) თავისუფალი რეფერენდუმი სომხის ერის პოლიტიკური ბედის გადასაჭრელათ.

---

**ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკის დებულება.**

(გარეშე ქალაქების საბჭოთა მეორე სესიის სიეზდის მარცხენა ფრთის მიერ შემუშავებული). დებულება შეეხება სახალხო დეპუტატების საბჭოს მოწყობას ყუბანის ოლქში, რომელიც უნდა შედგეს ოლქების განყოფილებების, სტანიცების, სოფლების, აულების, ხუტორების და სხვა კუთხეების დეპუტატთაგან.

1. თავისუფლებისა, რევოლიუციისა და ეკონომიურ უფლებათა განსამტკიცებლათ ყუბანის მხარეში არსდება ორგანო სახალხო დეპუტატების საბჭოსგან.

2. დროებითი ყუბანის მხრის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს ირჩევს გარეშე ქალაქების დელეგატთა სიეზდი იმ დრომდე, ვიდრე მთელი ოლქის საბჭოთა და დემოკრატიულ ორგანიზაციების სიეზდი არ შედგება და ეს სიეზდი სამუდამო იაბჭოს არ აირჩევს.

3. განყოფილებების სახალხო დეპუტატების საბჭოს ირჩევს იმავე განყოფილებების დელეგატთა სიეზდი.

5. სტანიცის, სოფლის, აულის ხუტორის და კუთხის საბჭო დგება იმ კონსტიტუქციით, როგორითაც შემდგარია ...ყაზახთა და გლეხთა ტიპის საბჭოები, ...შიაც უნდა შედიოდენ ყველა რევოლიუციონერი მშრომელი მცხოვრებნი, რომელთაც კი 18 წელი შესრულებიათ.

5. სახალხო დეპუტატების საბჭოები თავიანთი წრიდან გამოყოფენ ხოლმე აღმასრულებელ კომიტეტებს არა ნაკლებ სამი კაცისგან შემდგარს, რომელთაც უნიშნავს იმნდენსავე კანდიდატებს.

6. აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა ჯამაგირებს ნიშნავს ადგილობრივი საბჭოს საზოგადო კრება.

7. სახალხო დეპუტატების საბჭოს მოქმედების ვადა არ ისაზღვრება.

8. ხაზინადრის მოვალეობას კისრულობს აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.

9. საბჭოთა ყველა საქმეების სარევიზიოთ ინიშნება სარევიზიო კომისია, რომელშიაც აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი არ შედიან.

10. საბჭოების ნივთიერი საშუალება შედგება უძრავ-მოძრავ ქონებიდან ერთი პროცენტიანი შეფასებითი გადასახადისაგან და ყოველ თვიურათ 25 კაპიკიანი საწევრო შემოსატანიდან.

ეს დებულება დამტკიცებულია ყუბანის ოლქის ქალაქების დილეგატთა სიეზდის მიერ 1917 წლ. 18 დეკემბრის სხდომაზე 268 ხმით.

მთელი ოლქის ყველა საბჭოების დეპუტატთა სიეზდი მოწვეულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1918 წლ. 15 იანვრისა.

**რევოლიუციონური დემოკრატიის სიეზდების მოწვევა.**

8 იანვრისთვის პეტროგრადში დანიშნული იყო სრულიათ რუსეთის ყველა საბჭოების დელეგატთა სიეზდი. 14 იანვარს დანიშნულია პეტროგრადშივე ყველა საგუბერნიო და სამაზრო საადგილმამულო კომიტეტების სიეზდი, 15 იანვრისთვის რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა საგანგებო სიეზდია დანიშნული, რომლის მიზანია გამოარკვიოს მშრომელი ხალხის ნება-სურვილი, რომელმაც უკვე გამარჯვება იხილა- 8 და 15 იანვრის სიეზდების ლოზუნგია.

სრული ძალა-უფლება მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოებს!

# საზღვარ-გარეთ.

**რუს გერმანელთა კონფერენციაზე.**

რუს-გერმანელ დელეგატთა კონფერენციაზე, რომელიც სამხედრო ტყვეების მდგომარეობას ეხებოდა, კითხვა დაისვა გერმანიაში დამოუკიდებელ სოციალისტების დატუსაღების შესახებაც. ამაზე გრაფმა მირბახმა განაცხადა, რომ მას შეუძლია მისი მთავრობისგან მიღებულ დეპეშის საბუთით უარყოს ცნობა გერმანიაში „დამოუკიდებელ სოციალისტების" დატუსაღებაზე. უკანასკნელ დროსო, სთქვა მან, დაატუსაღეს მხოლოთ რვა კაცი სამხედრო ჯაშუშობის თაობაზე, რასაც „დამოუკიდებელ სოციალისტებთან" არავითარი კავშირი არა აქვს. ამაზე ამხ. რადეკმა რუს დელეგაციის სახელით მას უპასუხა, რომ ნემცების მთავრობამ, როგორც სჩანს, არც იცის ის ამბები, რასაც კელნის გაზეთები გადმოგვცემენ. საიდანაც ვტყობილობთ, რომ იქ დაატუსაღეს დამოუკიდებელი პარტიის მთელი კომიტეტი. ამის გამო რუსეთის დელეგაცია ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობამ „დამოუკიდებელი სოციალისტების" დატუსაღებით მეტათ დააბრკოლა ზავის საქმე; ამასთან ერთათ რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ საქმე გერმანიის მხრით უარის თქმა იმ პოლონელ მუშების მდგომარეობის საკითხის განხილვაზე, რომლებიც ომის განმავლობაში ძალდატანებით იყვნენ გერმანიაში გადაყვანილნი, განხილულ იქნება სახალხო კომისარების სსაბჭოს მიერ. ნემცების დელეგაციის მხრით პასუხი გასცა დელეგატმა ეკერმა, რომელმაც განაცხადა, რომ მას უკანვე მიაქვს გუშინდელი უარის ყოფა და სიტყვას იძლევა, რომ იგი თავის მთავრობას მოსთხოვს რუსეთის დელეგაციის სურვილი შეასრულოს მან და პოლონელი მუშების მდგომარეობა გააუმჯობესოს.

**ბერლინის ბრესა.**

იტალიიდან იტყობინებიან, რომ იქ სისტემატიურათ ეწევიან და ახშობენ ზავზე გამართულ პროპაგანდას. მაგალ. ყუმბარების საკეთებელ ქარხნის ერთ მუშას ქ. ბრესჩში სასამართლომ ერთი წლის ციხე მიუსაჯა რესტორანში პოლიტიკური სიტყვის წარმოთქმისათვის, რომლითაც იგი ომის განგრძობას გმობდა და ლენინის პოლიტიკას რუსეთში ქება-დიდებით იხსენებდა. ამავე სასამართლომ ასეთივე მიზეზების გამო გაასამართლა ერთი მღვდელი წიგნის ვაჭარი და მესტამბე.

საფრანგეთის პარლამენტში გაიმართა კამათი ცენზურის სისასტიკის თაობაზე, დეპუტატმა პოსკომ და სხვებმა უკმაყოფილება განაცხადეს იმის გამო, რომ ჯარში და მთელ მხარეში ამ ჟამათ დაუბრკოლებლივ ეწევიან პროპაგანდას პარლამენტის წინააღმდეგ. ჟანდრომმა განაცხადა, რომ მაღალ და დაბალ ხარისხის აფიცრები ხმებს ავრცელებენ პარლამენტის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ჯარის კაცთ აღკრძალული აქვთ თავიანთი რესპუბლიკანური აზრები გამოთქვან. პირდაპირ რესპუბლიკის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევიანო. რენოდელმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავარ ბანაკში (სტავკა) მსჯელობა აქვთ— იმაზე, თუ რომელი გაზეთის წაკათხვის ნება უნდა მისცენ ჯარისკაცთ და რომლის არა. გაზეთი „ჰუმანიტე." მაგალ. ფრონტზე აკრძალულია.

რანედელმა პროტესტი განაცხადა იმ გამოძიების წინააალმდეგ, რომლის წარმოებას მომხდარ აჯანყების თაობაზე მომავალ გაზაფხულზე ეპირებოდენ.

კლემანსომ ამაზე ორატორს იმით გასცა პასუხი, რომ მოთხოვა დაასახელოს ფაქტები და არა მარტო საზოგადო ფრაზები.

„რეიტერის" დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საგანგებო ზომები შეიმუშავეს, რათა თავიდან აშორონ სურსათის ნაკლებობა შეთანხმების სახელმწიფოებს ხორბლეულობის გატანით.

რუსთა ახალშენში, ლოზანნაში (საფრანგეთში) ცნობა მიიღეს, რომ ფრანგები მტრულათ უყურებენ საფრანგეთში მცხოვრებ რუსებს, რის გამოც ამ უკანასკნელებს იქ ცხოვრება ჯოჯოხეთათ გადაქცევიათ. უკანასკნელი ცნობებით ჯარში რუსი სალდათები რომელთაც განკერძოვებულათ ინახავენ, ბევრი დახვრიტეს.

### ინგლისის ჯარის მოქანცვა.

ინგლისის ჯარში, როგორც ინგლისელ ტყვეებს ეტყობათ, ერთნაირი სულიერი დეცემა—დავარდნა გამეფებული. ინგლისის ჯარი ამ ჟამათ სრულიად უგუნებოთ და მოღლილ-მოქანცული იბრძვის. ჯარი ასეთ მდგომარეობას მას შემდეგ განიცდის, რაც წარსულ ზაფხულზე მან თავის ძალ-ღონის უმაღლეს წერტილამდე განვითარებას მიაღწია და ცხადათ დაინახა, რომ ამან მას არაფერი შეღავათი და იმედი არ მისცა, პირიქით ფლანდრიის მიდამოებში (ბელგიაში) ბრძოლით ბევრი დაკარგა. ინგლისელებს ამერიკისგან დახმარების დიდი იმედი არა აქვთ, რადგან აშკარათ ხედავენ, რომ მოკავშირეების ძალა იმაზე ბევრათ უფრო ჩქარა კლებულობს და ეცემა, ვიდრე ამერიკიდან ევროპაში ჯარების გადმოყვანის ზრდა.

### ახალი შეერთებული შტატები ამერიკაში.

ევროპის საშინელმა ომმა ბევრ პატარა სახელმწიფოს აუხილა თვალი ქვეყანაზე და დაანახვა, თუ რა საფრთხე მოელის მათ. აქედან წარმოსდგა მაგალითათ სკანდინავიის სამი სამეფოს ბლოკი. ახლა ასეთივე კავშირი შედგარიაც ცენტრალურ ამერიკაშიაც. ინიციატივა იკისრა ერთ ერთ რესპუბლიკის პრეზიდენტმა, გონდურასმა, რომელმაც წერილით მიმართა ცენტრალურ ამერიკის ყველა რესპუბლიკების პრეზიდენტებს, რომ მოაწყონ საერთო კონფერენცია, რომელიც განიხილავს პროექტს ცენტრალურ ამერიკის კავშირის შესადგენათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 5 ამ სახელმწიფოებთაგანი უკვე შეკავშირებულია 1907 წლიდან, რომელთა შორის სამედიატორო სასამართლოს შესახებ შეთანხმება ჩამოვარდა, რომ ყველა მათ შორის ატეხილი დავა გარჩეული იქნას ამ სასამართლოს მიერ.

## პროვინცია.

გორი. ახლათ მოსული ვიყავი გორში ფრონტიდან დაბრუნებული, მინდოდა გამეგო ჩემი ქვეყნის ამბავი, თუ როგორ შეხვდა გორი და მისი მაზრა თავისუფლებას. დავინახე სოფელ ტინისხიდის გლეხები ჯგუფათ მოდიან, ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა გიორგი ამილახვარი ფაიტონით მოჰქროლავს ჩაჩნებით გარშემორტყმული, მკითხველებმა კარგათ იციან, რომ ტინისხიდელებსა და ამილახვარს შორის დავა დიდიხანია არის. დაბარებულები იყვნენ გორის მაზრის კომისართან. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გლეხები ქუდ მოხდილები დგანან აღელვებულები; გიორგი ამილახვარს ხელის ჩამორთმევით და სკამის მორთმევით დახვდა გიორგი მაჩაბელი და გახსნა კრება.

კითხვა ეკუთვნის გლეხებს.

გლეხები. ბატონო კომისარო, რამოდენი საუკუნე ვილანძღებით ამილახვარისაგან, ჩვენ საკუთარ მამულებზე მოსვენება არა გვაქვს. რომ ვიმუშაოთ, თავისუფლათ დარბიან ჩაჩნები, ისვრიან იარაღს, რამდენი გამოუსალმებიათ წუთისოფელს და რამდენი დაუჩეხიათ; გთხოვთ, ბატონო, კომისარო გაირჩეს საქმე და იარაღი აიყარონ ჩაჩნებმა.

გიორგი ამილახვარი—ამხანაგო კომისარო, მოგეხსენებათ მე ტყეში ბევრი მაქვს და ნადირობას დაჩვეული ვარ, მოხუცებული ვარ, მარტოკა ვერ წავალ ტყეში, ჩაჩნებს იარაღს ვერ ავყრი თან უნდა ვატარო, სადირის ხორცი მიყვარს.

გიორგი მაჩაბელი გლეხებო! იარაღი ქონდეს. ჩაჩნებიც ყავდეს, მიწის საკითხს კომისიას გამოვგზავნი და გაარჩევენ.

კრება დაშლილია გლეხები წავიდნენ დაღონებულები, გიორგი გახარებული. ორი მოსისხლე მტერი ახლა ერთ სკამზე სხედან. 1905 წლიდან თავისუფლების შემდეგ გიორგი მაჩაბელმა იკისრა წითელი რაზმის შედგენა თავად აზნაურობის წინააღმდეგ, არც გიორგი ამილახვარი ჩამორჩა, ამანაც გაამაგრა შავრაზმელები მაჩაბლის წინააღმდეგ.

მეუბნებიან რათ გახდი ბოლშევიკიო შენ ჩვენთან მუშაობდიო ეგ სირცხვილიაო. დიახ ბატონებო, მენშევიკი გახლდით იმიტომ, რომ იმ დროს გამოურკვეველი ვიყავი, როდესაც მუშათა და გლეხთა უმრავლესობა შინდა ფრონტებზე შეიარაღებული ძალებით გვყავს, შორს მენშევიკობა. თქვენ კი იდგენთ დიდ ცოდვას ისტორიის წინაშე. უნდა გახვიოთ ცეცხლის ალში მთელი ქვეყნიერობა, იარაღს იღებთ, აძლევთ ხალხის მტრებს, რომლებიც სოციალიზმის მოსისხლე მტრები არიან. ვის წაგიკითხიათ საფრანგეთის დიდი რევოლიუცია სიხარულით ალტაცებულმა რევოლიუციონერებმა ბურჟუაზიას ჩაუგდო ხელში პარიზი, როგორც პეტროგრადში. და მდიდრების მთავრობამ უმოწყალოთ ამოხოცა ქალაქის მუშები. მაგრამ ჩვენ რუსეთის მუშები ვერ მოვსტყუვდებით. ჩვენ შეგნებულათ ვადევნებთ თვალ-ყურს ყოველივე ნაბიჯს, ვართ სოციალისტები და ვილით კიდეც სოციალიზმისკენ შეუპოვრათ. გიმტკიცდებათ თქვენ მტრობა სოციალიზმისა. სარგებლობთ ხალხის შეუგნებლობით. გუშინ მშივრები, დღეს მაძღრები თბილი ალაგებით, მაგრამ არ გავა დიდი დრო, მოგეთხოვებათ პასუხი თქვენი მოღვაწეობისა. რუსეთის ავანგარდი, რევოლიუციონური პროლეტარიატი არ დაყრის იარაღს სანამ არ გაიმარჯვებს.

**გორის ციხელი.**

სარიყამიში. ამას წინათ გაზეთ „რესპუბლიკაში", თუ არ ვცდებით კორესპონდენცია იყო მოთავსებული, სადაც ვიღაც გზაბნეული კორესპონდენტი სწერდა: „სარაყამიში საშინელ სურათს წარმოადგენს, ანარხია გამეფებული, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის-კაცნი იკლებენ ყველაფერს, ქუჩაში გავლა შეუძლებელია, დღე ისე არ გაივლის რომ ორი სამი არ მოკლან." დახლოვებით ასეთივე ცნობა იყო გაზეთ „ერთობა"-ში

სიმართლის გამოსარკვევათ, საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი, დადგა ისეთი პერიოდები, როცა ყველა ჯურის პროვოკატორებმა იშოვეს დრო და საქმიანობა. უნდათ წყალი აამღვრიონ და შემდეგ თვით ისარგებლონ; ასეთი ყალბი ცნობის მოწოდებით გაზეთებისადმი უნდათ ერთ გვარი შიში—პანიკა გამოიწვიონ და ძალით შექმნან პროვოკაცია იქ, სადაც არ არის, ჩვენ თამამად ვაცხადებთ, არავითარი იმის მგზავსი, რაც მოთავსებული იყო გაზეთ „რესპუბლიკა"-ში სარაყამიში არ მომხდარა დღემდე, და შემდეგშიაც იმედი არის, არ მოხდება თუ პროვოკატორების ნაძირალების მუშაობას ფართო ნიადაგი არ დაურჩა; სარაყამიში ეს უმთავრესი კარებია ჯარის, როგორც ფრონტიდან მომავალის ისე იქით მიმავალის, მას შემდეგ რაც ფრონტიდან ჯარის მოხსნა დაიწყო, სარაყამიშის ვაგზლიდან გაიარა 150,000 ჯარის კაცი ადგილობრივ მუშათა-და ჯარის კაცთა აღმ. კომიტეტის, და კავკასიის არმიის მეორე სიეზდის დელეგატების წყალობით არავითარ ექსცესებს ადგილი არ ქონია. მაშ რათ დასჭირდათ უპასუხისმგებლო ნაძირალებს ასეთი ცნობების მიწოდება გაზეთისადმი? მხოლოთ იმიტომ, რომ ამით საქმე გაამწვავონ, პროვოკაცია გამოიწვიონ, მაგრამ მოსტყუვდენ ჯერ ჯერობით. საჭიროა გაზეთებმა შემთხვევით, და ცრუ კორესპონდენტების ცნობებს ფრთხილათ მოეპყრან აქ არის უმაღლესი ორგანიზაციები რევოლიუციონურ-დემოკრატიული, რომელთაც შეუძლიათ ყოველივე აცნობონ როგორც რედაქციებს ისე სხვა ორგანოებს. უპასუხისმგებლო ვაჟბატონებს ვაფრთხილებთ, თავს ნუ იწუხებენ.

—ლი

ს. ხევი. (გურია). 17 დეკემბერს აქ გაიმართა ადგილობრივ მცხოვრებთაგან მცირე რიცხოვანი მიტინგი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლასა მამალაძე, მდივნად საშა მამალაძე. მენშევიკების მხრით მოხსენება გააკეთა ლასა მამალაძემ, რომელმაც საქვეყნოთ დაჰგმო ბალშევიკების მოქმედება, უწოდა მათ: ანარქო ბლანკისტები, უზურპატორები, მოღალატეები და ვინ მოსთვლის რამ დენიმარგალიტები გადმოაბნია თავის უწმაწური პირიდგან. შეაგონა ხალხს, რომ ბალშევიკებს ჯარი, წითელ-გვარდიელები და მუშები მჭიყავთ გლეხების წინააღმდეგ და სხვა. მას ბალშევიკების მხრით პასუხი გასცა ამხ. გრიგოლ როგავამ, რომელსაც ხალხმა განუსაზღვრა დრო სალაპარაკოდ, მაგრამ ბ. თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა... სამაგიეროთ ხალხს თავიანთი მიაღებინეს რეზოლიუცია; სადაც ისინი უნდობლობას უცხადებენ მუშათა და გლეხთა მთავრობას და სალამს უძღვნიან ამიერ-კავკასიის კოალიციონურ კომისარიატს ამნაირად საზიზღარი ცილის წამებით სცდილობენ გაუტეხონ სახელი მუშების და გლეხების მთავრობას. წყალ წაღებულნი ხავს ეკიდებიან, მაგრამ ამაოთ. ხალხი მალე დარწმუნდება მოღალატეობაში მათ და მონახავს თავის გზას.

**დამსწრე.**

### წერილები რედაქციის მიმართ.

პასუხი მენშევიკთა ორგანიზაციას. ჩემ მიერ გაზეთ ბრძოლის 25 №-ში იყო მოთავსებული მოკლე წერილი, რომელიც არ ეპიტნავა მენშევიკთა ორგანიზაციას და გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" 189 № ში არის საპასუხო წერილი, რაც მტკნარ სიცრუეთ და ამაოთ თავის მართლებათ უნდა ჩაითვალოს. მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოვაგონო ერთის მენშევიკებს შემდეგი, რას ნიშნავს, რომ იაგორ მინდაძე მოსალმა თქვენი პარტიის სახელით დამსწრეთ. რას ნიშნავს ის, რომ სკოლის საბჭოთა წამოყენებულ კანდიდატურაში ვაგყავით' თუ არა მასთან ტკბილ გაწყობილებას? და თუ ი. მინდაძეს არ გაუღიმა ბედმა და სკოლის საბჭოთა წევრთა რიცხვში არ გავიდა, ამაზე უნდა დაუმადლოთ იქ მყოფ ბალშევიკებს და რამოდენიმე თქვენ ამხანაგებს. რათ ირჩევთ მას თავმჯდომარეთ? განა არ იცოდით ვის ირჩევდით? განა ის ი. მინდაძე არაა, აწ განსვენებულ რეაქციის სულის ჩამდგმელათ რომ ითვლებოდა და რომელზედაც გაზეთ „ერთობაში" ბაქოს მუშებმა მისი „კაი-კაცობა" მის მოქმედებაში გამოამჟღავნეს? ნუთუ დაგვიწყდათ, რა დღე დააყენა ბაქოს პროლეტარიატმა რეაქციონერ ი. მინდაძეს? განა ასეთ წმინდა წყლის რეაქციონერს თავმჯდომარეთ ირჩევენ ნამდვილი რევოლიუციონერები? ნუთუ არ გრცხვენიათ, ყველა ასეთი საქმის ჩამდენ ადამიანს სკოლის ბედს აბარებთ?
ამის შემდეგ ბევრიც რომ
გააქარწყლებთ იმ ფაქტს, რომ
ტიაში არ გყოლიათ და ახლაც არ
დასასრულ გულწრფელათ გირჩევთ
ტონებო: კეთილი ინებეთ და გადა
გრიშა მეგრელის წერილი „ბრძო
49 №-ში, სადაც ის ვრცელ სახ
გიკითხავთ თქვენ, ურწმუნნო თომ

ამით ვათავებ ჩემ პასუხს და გეტ
თქვენ რომ შეგწევდეთ მოქალაქო
სიმამაცე, აშკარათ უნდა აღია
თქვენი უსამართლობა, მაგრამ სად
ვენ, სად სიმამაცე.

**კაჩიკო-დემეტ**

## კრებები და მიტინგები

**დურგლების კრება.**

კვირას, 14 იანვარს, დილის 10 ს
ზე მესამე სავაჟო გიმნაზიაში (გოლ
ნოვის ქუჩა № 11) დანიშნულია
ლისის დურგალთა (საამქნებლო)
ფესიონალური კავშირის წევრთა საე
გადო კრება.

დღის წესრიგი:

1. სარევიზიო კომისიის მოხსენ
შემოსავალ-გასავალზე და კავშირის
მის მსვლელობაზე.

2. ახალი გამგეობის და კამერის
ჩევა.

3. მუშათა საბჭოს დეპუტატების
ჩევა.

4. პურის ბარათების კრებაზე
გება.

## განცხადებ

რ. ს.-დ. მ. პ. მეუმრავლესეთა (
შევიკების) ოზურგეთის კომიტეტი
დებს თანამოაზრეთა საყურადღ
რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყო
დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე
ლიპე ცხომელიძესთან და 2) მარო
მინძესთან დღის 3 საათიდგან საღ
6 საათამდე ჯაბა ბაჩულაშვილის ს
ში, თეატრის გვერდით.

კანტორა პროფესიონალურ კავშ
„პროლეტარების სემსი" ღიაა დი
12 საათიდ 6 ნაშუადღევის 2 საათ
საღამოობით — 6 სა. თ. 9 საათ
ადრესი: პეტრე დიდის ქუჩა №
პროფ. კავშირთა სადგომი, ოთახი

კვირას, 14 იანვარს დილის 11 ს
ზე ავლაბრის კლუბში (კავთის
№ 1) ბოლშევიკების მესამე რაი
კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. გამართ
გაზეთ „ქ. რაბ." ფონდის სასარგებლ

**ლექცია—კონცერტს.**

1. ლექცია ამხ. ქავთარაძისა: „
სულის გაკვეთილები და მომავლის პ
სპექტივები".

2. სპექტაკლი (სომხურ ენაზე).

3. დივერტისმენტი ბოგდანოვის,
იანის, ტაგინიძის და სხ. მონაწილეო

ფასები: 50 კ—3 მანეთამდე.
ვლილი ბილეთები იყიდება „კავკ. რ
კანტორაში და მესამე რაიონის კომი
ტეტის ბიუროში.

მშრომელ ქალთა კავშირი მართ
საზოგადო კრებას კვირას, 14 იანვ
ნაშუადღევს 2 საათზე ავლაბრის
ტორიაში; იქვე მიიღება წევრათ
ახლათ მოწყობილ კავშირში პური
ცხრილის გასამართავად; აგრეთვე
ველთ შეუძლიათ ჩაეწერონ „წი
თხვის ჯგუფში".

ეთხოვეთ ყველა ამხანაგებს კრე
დაესწრონ.